

17 მარტი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)



შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

ქ. თბილისი: აკ. წერეთლის გამზ. 142

ტელ.: (032) 2 34 22 01; 598 113 007; 597 77 28 55; 598 48 94 98;

ვებ-გვერდი: medicalschoo-3.edu.ge

ელ-ფოსტა: medicalschoo-3@mail.ru

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

მ ი ს ი ა

დაწესებულების მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ ფინანსურად ხელმისაწვდომ საზოგადოებრივ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან.

მიზანი:

კოლეჯი მიზნად ისახავს შექმნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უპასუხებს მის წინაშე მდგარ თანამედროვე გამოწვევებსა და შეძლებს გახდეს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების მქონე და პროფესიული სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

17 მარტი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

პ ა რ ტ ნ ი ო რ ე ბ ი



სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“



შ.პ.ს. „ავერსი-რაციონალი“



თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

17 მარტი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)



პედიატრიული კლინიკა „M მედი 22“



კანისა და ვენსნეულეზათა ს/კ ეროვნული ცენტრი



გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა



ს/ს „კ.ერისთავის“ სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის
ეროვნული ცენტრი“

17 მარტი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)



MEDers

შპს მარინე აფციაურის საერთაშორისო სასწავლო-
სარეაბილიტაციო ცენტრი „მედერეა“

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი



თბილისის ონკოლოგიური ცენტრი



**უნივერსალური
სამედიცინო ცენტრი**
UNIVERSAL MEDICAL CENTER
UNIVERSAL MEDICAL CENTER

უნივერსალური სამედიცინო ცენტრი



საქართველოს ეროვნული არქივი
NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

საქართველოს ეროვნული არქივი



შპს N16 აფთიაქი კრწანისი
შპს აფთიქი საბურთალო

17 მარტი
2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)



შპს ქ. თბილისის N1 ფასიანი
სტომატოლოგიური პოლიკლინიკა თბილქიმფარმი

ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი



საქართველოს კარიტასი
CARITAS GEORGIA

ა (ა) იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ექთნის თანაშემწე



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 90 კრედიტი (2250 საათი), აქედან (60%) - 54 კრედიტი (1350 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 36 კრედიტი (900 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი – ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია შეასწავლოს შეასწავლოს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ძირითადი საშუალებების ფორმები და მეთოდები; პაციენტის ორგანიზმზე წამლების გვერდითი ეფექტების მოქმედება.

სწავლის შედეგი

გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს, აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ. შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარება, ინფექციის კონტროლი, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი. შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; პაციენტის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში. დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით; სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან. შეუძლია ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; იცის პაციენტის უფლებები და უწევს ანგარიშს; შეუძლია დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა; ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება; მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება ტრანსპორტირება. გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა. განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია. მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა. შეუძლია ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგიის მიმდინარეობისას; შეუძლია დახმარება წამლების დარიგების დროს. სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; უწევს ასისტირებას სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს. პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).

დასაქმების სფეროები – ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სტაციონარში, ჰოსპისში, ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს; ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები), ბინაზე მოვლის სამსახური.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი, საიდანაც 18 კრედიტი (60 %) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 12 კრედიტი (40 %) – სასწავლო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის სპეციალისტი, (მდივან-რეფერენტი) რომელსაც შეუძლია ნებისმიერი პროფილის დაწესებულების ოფისის მართვა (საქმისწარმოება, დოკუმენტბრუნვა, სამდივნო სამსახური), საოფისე (კომპიუტერი, სკანერი, ფაქსი, ქსეროქსი) და სხვა ციფრული ტექნიკის მოხმარება; არის კომუნიკაბელური და ეხერხება საქმიან ადამიანებთან ურთიერთობა; სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენის გრამატიკასა და მართლწერის წესებს; აქვს დახვეწილი მეტყველება და მანერები.

სწავლის შედეგი: სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაფორმების (პირადი,

სამსახურებრივი, საგანმკარგულებლო, საადმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები; ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები; ტექსტის რედაქტირების საფუძვლები; პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის წესები.

პირადი დოკუმენტების მომზადება; სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირება, რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა; საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად; ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა; მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაცია; საოფისე მომსახურების (მივლინების, მუშაკის სამსახურში მიღების, სხდომების, საარქივო და სხვა დავალებათა) ორგანიზება; საარქივო მომსახურება და საქმეთა ფორმირება არქივისათვის;

ლონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მასთან დაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოება; ინფორმაციის დაზუსტება და გადამუშავება; აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი; შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემის მოგვარება.

ინტერპერსონალური კომუნიკაცია - სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, ინფორმაციის გამოთხოვა, დაზუსტება და სხვა; ინტერკულტურული კომუნიკაცია: სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში (MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet) მუშაობა მომხმარებლის დონეზე; გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე; უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე

პროფესიული საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება, პროფესიული განვითარებისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა

იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და პროცედურას; არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური და მოწესრიგებული; პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს; აქვს კორპორატიული კულტურა.

დასაქმების სფეროები - ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) დასაქმების სფეროა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

კბილის ტექნიკოსი



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი – კბილის ტექნიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს სპეციალისტები, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ კბილის ტექნიკოსის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა, შეიძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ ექიმის სტომატოლოგიის შეკვეთის ზუსტად შესრულებას, შესრულებული კონსტრუქციების ხარისხის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში დახვეწას, ძერწვას, მოდელირებასა და პროთეზირებას. პროფესია ორიენტირებულია პიროვნებაზე, მის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე.

სწავლის შედეგი

იცის ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი აქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შეუძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება; წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე; დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს; იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს; შესწავლილი აქვს სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები; გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი (დეფექტები და დეფორმაციები) მკურნალობის აუცილებლობა. შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა; შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად;

შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა; შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად; შეუძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან.

შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის იყენებს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს; შეუძლია კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა – მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის დამთავრების შემდეგ კბილის ტექნიკოსის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მეოთხე საფეხურის შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1125 საათი), აქედან (40%) - 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (60%) - 27 კრედიტი (675 საათი) - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ქიმიაში.

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

პროგრამის მიზანი – ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიული სტუდენტს მისცეს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, რომ მზად იყოს შეასრულოს შემდეგი სახის გართულებული ამოცანები: პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნის საფუძველზე მათი შეფასება; ცოდნის მისაღებად სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა; პროფესიული სტუდენტის მიერ წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ძირითად საკითხების დაუფლება; სხვადასხვა რეჟიმით აპარატის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.

სწავლის შედეგი

აქვს ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი დისციპლინების, მათ შორის მათემატიკის, ქიმიის, პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპების და

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ზოგადი კონცეფციების ცოდნა; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო სპეციფიური ცოდნის აუცილებლობას. ფლობს წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ძირითად საკითხებს. შეუძლია აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებლად აუცილებელი სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.

დასაქმების სფეროები – აღნიშნული დონის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს მსხვილ და წვრილ ფარმაცევტულ საწარმოებებში, სხვა საწარმოებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია როგორც სამკურნალო ფორმების, ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების წარმოებასთან.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა – ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულება 2017-2018 სასწავლო წლიდან ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში განახორციელებს სამ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას



პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამა



პროგრამის მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

✚ პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 179 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 32 სასწავლო თვე

✚ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

მოდულები - ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

✚ სწავლის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ საექთნო პროცესის მართვა
- ✓ კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ✓ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- ✓ პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა



ფარმაცევტის თანაშემწე



✚ პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

პროგრამის მიზანია ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა მოვალეობაა: ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.

✚ პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 139 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 25 სასწავლო თვე

✚ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

მოდულები - ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

✚ სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

პროდუქციის ვიზუალურად შემოწმება, იგივეობის, სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენა, ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება;

რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება;

მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;

მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შეგროვება–დათვალიერება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;

ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;

ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ექთნის თანაშემწე



✚ პროგრამის მიზანი:

ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

✚ პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 102 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 სასწავლო თვე

✚ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

მოდული - ქართული ენა A2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

✚ სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ მოსავლელიპირის/პაციენტის/მორიგეობისმიღება-გადაბარება
- ✓ პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა
- ✓ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- ✓ უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან
- ✓ პირად პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) ჩაბარებას.

სწავლის დროს ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს, ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) შემთხვევაში

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.